**თინათინ გიორგაძე, მარიამ ექიზაშვილი, ანა ვეკუა**

**ტუშას უნივერსიტეტი, იტალია**

24-28 ნოემბერს, Erasmus+ პროგრამის ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები: ეკონომიკის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი - თინათინ გიორგაძე, სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი მენეჯერები - მარიამ ექიზაშვილი და ანა ვეკუა ეწვივნენ ტუშას უნივერსიტეტს, იტალია და მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში.

Erasmus+ მობილობის პროგრამის ფარგლებში განხილული იყო, ინტერნაციონალიზაციის და გლობალური გამოწვევების საკითხები, ასევე ინტერაქტიული გაცნობითი და ქსელური აქტივობები ორმაგი ხარისხის პროგრამებში. კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, ტუშას უნივერსიტეტის Erasmus+ - ის დეპარტამენტის კოორდინატორებთან და მათი პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ორგანიზატორების მიერ დაგეგმილ მრგვალი მაგიდის შეხვედრაში, რომლის მიზანი იყო არსებული ორმაგი ხარისხის შეთანხმებების განმტკიცების გზებისა და ახალი შეთანხმებების განვითარების შესაძლებლობების განხილვა.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მნიშნელოვანი გამოცდილება მიიღეს ინტერნაციონალიზაციის კუთხით. პროგრამაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რაც მნიშვნელოვანი იყო, როგორც არსებული გამოცდილების გაზიარებისთვის ასევე მომავალი ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობების დამყარებისთვის.